„დასწრების მონიტორინგის პლატფორმა“

<u>შემოთავაზება</u>

იანვარი 2019

შესავალი

ვებ დეველოპერული კომპანია “SDD” მოხარულია წარმოგიდგინოთ ჩვენი შემოთავაზება ტრეინინგებზე დასწრების მონიტორინგის პლატფორმის დამზადების მომსახურებასთან დაკავშირებით.

პლატფორმა საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას, ატვირთოს აპლიკაციაში ტრეინინგების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი, ხოლო მონაწილეები ელექტრონულად „Check in” ფუნქციის გამოყენებით მარტივად დააფიქსირებენ დასწრებას. ადმინისტრაცია მიიღებს რეპორტებს შემდგომი ანალიზისთვის.

ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ჩვენ მოვამზადეთ წინამდებარე დოკუმენტი, სადაც არის მოთხრობილი ჩვენი გუნდის ხედვის, შესაძლებლობების და ტექნოლოგიების შესახებ, რაც ჩვენი აზრით საუკეთესოდ ერგება ამ პროექტს.

პლატფორმის ზოგადი აღწერა

<u>პლატფორმა შედგება შემდეგი ურთიერთადაკავშირებული კომპონენტებისგან</u>

მონაწილის აპლიკაცია

აპლიკაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც ვებიდან, ასევე ანდროიდის და IOS აპლიკაციებიდან



ტრენერის აპლიკაცია

აპლიკაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც ვებიდან, ასევე ანდროიდის და IOS აპლიკაციებიდან



მართვის მოდული



პროცესის აღწერა

- პლატფორმაზე შეტანილია ინფორმაცია თითოეული რეგისტრირებული მომხმარებელის (ტრენერისა და დამსწრის) პროფილსა და ცხრილებზე. (შესატანი ცხრილების ფორმატებს მოგაწვდით ცალკე ფაილის სახით)
- ცხრილი შედგენილია შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ტრენერი, ტრეინინგის დასახელება, დრო, ლოკაცია, დამსწრეები/მონაწილეები
- ლექციის დაწყებამდე ადმინ პანელში გენერირდება QR კოდი, რომლის დასკანერებით მონაწილეები ადასტურებენ ტრეინინგზე დასწრებას
- დაწყებისას ტრენერი აკეთებს მოთხოვნას, რომელიც წვდომას უხსნის შესაბამისი ტრეინინგის ყველა დამსწრეს
- დამსწრეს სმარტფონში გააქტიურებული აქვს ლოკაციის ფუნქცია
- დამსწრე ადასტურებს დასწრებას Check in ფუნქციის გამოყენებით (დასწრებად ჩაითვლება, თუ დაშორება ტრენერსა და სდამსწრეს შორის არ აღემატება 50 მეტრს)
- პლატფორმა აფიქსირებს „Check in“-ის დროს, ადგილს და აღრიცხავს საბოლოო რეპორტში.

მონაწილეების აპლიკაცია

აპლიკაციის ინტერფეისი იქნება მაქსიმალურად გამარტივებული, რათა მისცეს მომხმარებლებს მარტივი ნავიგაციის შესაძლებლობა და გამარტივებული წვდომა „Check in”-ის ფუნქციაზე. აპლიკაციის გადმოტვირთვა მოხდება დამსწრეების სმარტფონებში.

○<u>რეგისტრაცია</u>

მონაწილეს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრიდნენ როგორც ელ ფოსტის ასევე Facebook ანგარიშის მეშვეობით

○<u>ცხრილი</u>

აპლიკაციაში დამსწრე ხედავს ადმინისტრაციის მიერ ჩატვირთულ გრაფიკს

○<u>ბარკოდი+Check in</u>

ლექციის დაწყებისას დამსწრე ადასტურებს მონაწილეობას ბარკოდის დასკანერებით

ტრენერის მოდული

აპლიკაციის გადმოტვირთვა მოხდება ტრენერების სმარტფონებში. აპლიკაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც ვებიდან, ასევე ანდროიდის და IOS აპლიკაციებიდან

- <u>განრიგი</u>

აპლიკაციაში ტრენერი ხედავს ადმინისტრაციის მიერ ჩატვირთულ ცხრილს და ირჩევს შესაბამის ტრეინინგს

<u>მოთხოვნის გაგზავნა</u>

ლექციის დაწყებისას ტრენერი ააქტიურებს დამსწრეებისთვის „check in”-ის ფუნქციას.



ადმინისტრაციის მოდული

ადმინისტრაციის მოდული იძლევა წვდომას ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზაზე, სადაც შეტანილია ინფორმაცია თითოეული რეგისტრირებული მომხმარებელის (ტრენერისა თუ დამსწრის) პროფილსა და ცხრილებზე.

ადმინისტრატორი ადგენს ცხრილებს შესაბამისი პარამეტრებით: ტრენერი, ტრეინინგის დასახელება, დრო, ლოკაცია, დამსწრეები/მონაწილეები

წინასწარ შეყვანილი ინფორმაციის საფუძველზე პლატფორმა დაამუშავებს დაგროვებულ ინფორმაციას და დააგენერირებს შემდეგ რეპორტს დამსწრეების მიხედვით

ნიმუში #1: მონაწილეების დასწრების რეპორტი

● დასწრება ● გამოტოვება ● სხვა მისამართიდან გაკეთებული Check in



რეპორტები

16/03/2013 | გაფილტვრა | Exit

სტუდენტი	ჯგუფი	თარიღი	ლექცია	ლექტორი	სტატუსი
ალექსანდრე ცინცაძე	1ა	16/03/2018 14:00	ბიზნესის მართვა	გიორგი ქადაგიძე	
გიორგი ორაგველიძე	2ა	16/03/2018 14:01	კორპორატიული ფინანსები	გიორგი ქადაგიძე	
გიორგი მარშანიშვილი	3 ბ	16/03/2018 14:02	მარკეტინგი	გიორგი პაპავა	
დავით წიკლაური	1ა	16/03/2018 14:03	სტატისტიკა	გიორგი პაპავა	
ბექა გასიტაშვილი	1ა	16/03/2018 14:04	კორპორატიული ფინანსები	გიორგი პაპავა	

ნიმუში #2: ტრეინინგზე დასწრების რეპორტი



რეპორტები

16/03/2013 | გაფილტვრა | Exit

ლექცია	ჯგუფი	თარიღი	ლექტორი	დასწრება
ბიზნესის მართვა	1ა	16/03/2018 14:00	გიორგი ქადაგიძე	50%
კორპორატიული ფინანსები	2ა	16/03/2018 14:01	გიორგი ქადაგიძე	95%
მარკეტინგი	3 ბ	16/03/2018 14:02	გიორგი პაპავა	98%
სტატისტიკა	1ა	16/03/2018 15:03	გიორგი პაპავა	87%
კორპორატიული ფინანსები	1ა	16/03/2018 15:03	გიორგი პაპავა	90%

მიდგომები და პრინციპები

პროცესი და ტექნოლოგიები

ვებ პროექტის დეველოპმენტის ეტაპები

ვებ საიტის ბირთვი

ნებისმიერი ახალი პროექტის შესრულების წინ ჩვენ ვაანალიზებთ, თუ რა ტექნოლოგიები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც მომხმარებლის მხარეს, აგრეთვე სერვერის მხარეს, მაგრამ ჩვენი ძირითადი უპირატესობა და მიდგომა არის ის, რომ პროექტის მთავარი **პროგრამული უზრუნველყოფა (ბირთვი) იწერება თავიდან და არ გამოიყენება რაიმე მზა ბირთვი როგორებიცაა Drupal ან Wordpress.**

რა უპირატესობა აქვს ასეთ მიდგომას?

პირველ რიგში, თავსებადობა. ჩვენ ვიცით ჩვენი ბირთვის აბსოლუტურად ყველა ნაწილი და შესაძლებლობა. მისი რაიმე მოდულის შეცვლა ან ახალი ფუნქციის დამატება უმტკივნეულოა და ხდება გაცილებით სწრაფად.

პროექტში შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ბიბლიოთეკები, რომელიც ასეთ მიდგომას ხელს არ უშლის. მაგალითად CSS Bootstrap, Jquery

Front- End დეველოპმენტი

მომხმარებლის მხარეს გამოყენებული ტექნოლოგიებია:

HTML; CSS; Bootstrap; Javascript; Jquery

ჩვენი ვებ დეველოპერული გუნდი იყო პირველი, რომელმაც საქართველოში დაიწყო ვებ გვერდების დამზადება და მას გააჩნია უდიდესი გამოცდილება ამ სფეროში. ეს უპირატესობა არამც თუ გამორიცხავს პროდუქტის დამზადებისას რაიმე შეცდომას, არამედ არის გარანტი იმისა, რომ პროდუქტი იმუშავებს სწრაფად, ხარისხიანად და მაქსიმალურად იქნება თავსებადი.

კლიენტის მხარის, ინტერფეისის შექმნის მსვლელობაში იგი საგულდაგულოდ იტესტება სხვადასხვა ბროუზერში, როგორებიცაა Explorer, Chrome, Opera, Firefox და სხვა. კომპანიას დიდი ძალისხმევა უწევს იმისათვის, რათა პროდუქტი ყველა სახის ბროუზერში გამოჩნდეს იდენტურად.

ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალების ფორმირება წარმოადგენს ვებ დეველოპმენტის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს.

ტექნიკური დავალება წარმოადგენს დოკუმენტს (საშუალოდ 50 გვერდი) , სადაც დეტალურად არის გაწერილი პლატფორმის ფუნქციონალი და მასშტაბი

ტექნიკური დავალების მომზადებაში დამკვეთის ჩართულობა წარმატების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.



„მოკაპის“ მომზადება

მოკაპი წარმოადგენს ვებ საიტის ბეტა ვერსიას, რომელიც სრულად ასახავს საბოლოო პროდუქტის პარამეტრებს, ფუნქციონალს, დამკვეთს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ გატესტოს ვებ საიტი, ნახოს უზუსტობები, და შესაბამისად შეიტანოს კორექტირებები.

სოლარის ჯგუფის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს მიდგომა ფაქტიურად გამორიცხავს გაუგებრობას დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ტექნიკური დავალების ინტერპრეტაციისას.



Back- End დეველოპმენტი

სერვერის მხარეს გამოყენებული ტექნოლოგიებია:

PHP/ PHP Extensions/ MYSQL

PHP / MySQL და Javascript ტექნოლოგიებს იყენებენ მრავალი მსხვილი კომპანიები. მათ შორის ერთერთი - Facebook, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საიტის ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფა დაიწერება ხელით. შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სახის ბიბლიოთეკები.



კოდი

ვებ საიტის კოდი, დაწერილი იქნება ხელით, სუფთად და უშეცდომოდ, რაც საიტის ოპტიმიზაციის და მისი სწრაფად მუშაობის საწინდარია. კოდში მითითებული იქნება კომენტარები, რაც დამკვეთს საშუალებას მისცემს მომავალში პლატფორმის დახვეწის ან დამატებების განხორციელება დაუკვეთოს თუნდაც სხვა პროგრამისტთა ჯგუფს.

თავსებადობა

ვებ საიტი თავსებადი იქნება პრაქტიკულად ყველა სახის თანამედროვე Browser-თან. Internet Explorer, Google Chrome, Firefox, Opera, Safari.

DESIGN.GE

უსაფრთხოება

საიტის ვიზუალური და ფუნქციური მხარეების შესრულების დროს და მათი დასრულების შემდეგაც, დიდი ყურადღება დაეთმობა უსაფრთხოებას. ვებ პლატფორმა იქნება მაქსიმალურად დაცული დღესდღეისობით არსებული შეტევების თავიდან ასაცილებლად. ჩვენი რეკომენდაციაა, აუცილებლად გამოყენებულ იქნას SSL ტექნოლოგია. ამასთან ერთად, საიტის მონაცემთა ბაზა და სამუშაო ფაილების რეზერვული კოპირება უნდა მოხდეს პერიოდულად საიტის ადმინისტრატორის მიერ.

ტესტირება

საბოლოო გაშვებამდე ვებ პლატფორმა სრულად ტესტირდება, რათა მოხდეს პრობლემების ინიცირება და აღმოფხვრა. ტესტირებას გაივლის საბაზისო ფუნქციონალი, უსაფრთხოება, თავსებადობა სხვადასხვა რეზოლუციის ეკრანებზე,

ჩატარდება დატვირთვაზე ტესტირება RAMP ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც გულისხმობს ტესტირებას დიდი რაოდენობის ერთდროულ ვიზიტორებზე (ე.წ „ტრაფიკზე“)

ჩვენი პროექტები



www.tenderers.net

სატენდერო პლატფორმის მიზანია ახალ ეტაპზე გადაიყვანოს კერძო სექტორის შესყიდვების პროცესი, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების გამოყენებით.

ჩვენი პროექტები

www.gmtg.co



ავტონაწილების ონლაინ მაღაზია, მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის ფუნქციით. ვებ-პორტალი საშუალებას აძლევს კომპანიის კლიენტებს ელექტრონულად, Online რეჟიმში გააკეთონ შეკვეთა, გააკონტროლონ მიწოდების პროცესი.

ჩვენი პროექტები



www.b2c.ge

წარმოადგენს ელ. კომერციის პლატფორმას რომელიც ბიზნეს მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას თავად **იჯარით აიღონ** ონლაინ მაღაზია, დააერთონ გადახდის სისტემები, შექმნან კატალოგი და გაუშვან ონლაინ სივრცეში.

ჩვენი პროექტები



www.alcoshop.ge

მაღალი ხარისხის ალკოჰოლის ონლაინ მაღაზია. ვებ-პორტალი საშუალებას აძლევს კომპანიის კლიენტებს ელექტრონულად, Online რეჟიმში გააკეთონ შეკვეთა, გააკონტროლონ მიწოდების პროცესი.

ჩვენი პროექტები

www.ansa.ge



საკანცელარიო პროდუქციის ონლაინ მაღაზია, მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის ფუნქციით. ვებ-პორტალი საშუალებას აძლევს კომპანიის კლიენტებს ელექტრონულად, Online რეჟიმში გააკეთონ შეკვეთა, გააკონტროლონ მიწოდების პროცესი, ხოლო კომპანიის მენეჯმენტი მიიღებს ანალიზური რეპორტებს პერიოდის, პროდუქტების და კლიენტების სეგმენტის ჭრილში.

ჩვენი პროექტები

Prius Taxi

ტაქსების გამოძახების და მართვის პლატფორმა.

ჩვენი პროექტები

Smart App

დისტრიბუციის სამსახურის მართვის აპლიკაცია.

ჩვენი პროექტები



www.music.ge

მუსიკის მოსმენისა და გადმოწერის უნივერსალური პლატფორმა

ფინანსური დეტალები

პროექტის ვადები და ბიუჯეტი

DESIGN.GE

პროექტის ვადები

მოქმედება	კვირა 1	კვირა 2	კვირა 3	კვირა 4	კვირა 5	კვირა 6
ძირითად "სკოუპზე" შეთანხმება						
ხელშეკრულების გაფორმება						
ტექნიკური დავალების შეთანხმება						
მონაცემთა ბაზის შემუშავება,						
პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება						
ინტერფეისის მომზადება						
ძირითადი ფუნქციების მომზადება						
დახურული ტესტირება						
საიტის საბოლოო კორექტირებები						
გაშვება						
შეხვედრები "დამკვეთთან"						

პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი (ლარი/დღგ გარეშე)	რაოდენობა	ხელფასი	თვეების რაოდენობა	სულ
პროექტის მენეჯერი	1.00	2,000.00	1.50	3,000
Front-end დეველოპერი	1.00	1,750.00	1.50	2,625
Back-end დეველოპერი	1.00	1,750.00	1.50	2,625
სულ პირდაპირი ხარჯი	**3.00**	**5,500.00**	**4.50**	**8,250**
ზედანდები ხარჯები		4%		359
მოგება		15%		1,291
სულ ბიუჯეტი (ლარი/დღგ გარეშე)				**9,900**

DESIGN.GE

დიდი მადლობა დაინტერესებისთვის

საკონტაქტო ინფორმაცია:

კომპანია: „ესდედე“

E-mail: oragvelidze.giorgi@gmail.com

Cell: (+995) 591110200